საქართველოს მთავრობის განკარგულება

№294 2017 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „მზის ენერგიის კომპანიას“ შორის 2016 წლის 20 აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობასა და შპს „მზის ენერგიის კომპანიას“ შორის 2016 წლის 20 აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ №2-ით განსაზღვრული ვადის შპს „მზის ენერგიის კომპანიის“ მიერ დარღვევის თაობაზე და მემორანდუმი მიჩნეულ იქნეს შეწყვეტილად 5.2(ხ) ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „მზის ენერგიის კომპანიისთვის“ მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**